

N59 საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი N 33

ქ.ქუთაისი

16 ნოემბერი 2020 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გელა თუთბერიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გელა თუთბერიძე, კომისიის მდივანი ლარინა ლალიაშვილი, კომისიის წევრები: იზა ფერაძე, თამარ ხმელიძე, გიორგი ჩირგაძე, მაკა გაჩეჩილაძე, ლილე ხურციძე, გაგა დევიძე, პაატა ლაჭავაძე. სხდომას არ ესწრებოდა: ია რაზმაძე და კაროლინა ოსიპოვა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის რიგგარეშე არჩევნების ბიულეტენის ტექსტის დადგენის შესახებ
2. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის არჩევნებისათვის N23 მაჟორიტარულ ოლქში შემავალი N23.59.125 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის თამარ ბუხაიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.
3. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის არჩევნებისათვის N23 მაჟორიტარულ ოლქში შემავალი N 23.59.125; N23.59.127 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი ხელახალი კონკურსის გამოცხადების შესახებ.
4. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –9

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის რიგგარეშე არჩევნების ბიულეტენის ტექსტის დადგენის შესახებ

2. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის არჩევნებისათვის N23 მაჟორიტარულ ოლქში შემავალი N23.59.125 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის თამარ ბუხაიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

3. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის არჩევნებისათვის N23 მაჟორიტარულ ოლქში შემავალი N 23.59.125; N23.59.127 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი ხელახალი კონკურსის გამოცხადების შესახებ.

4. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულება:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის რიგგარეშე არჩევნების ბიულეტენების ტექსტის დადგენის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –9

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის; 169² მუხლისა და 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის N124/2020 განკარგულების საფუძველზე N59 ქუთაისის საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დადგინდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის მერის რიგგარეშე არჩევნების ბიულეტენის ტექსტი თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №138), მისი მიღებიდან 1 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულება:

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის არჩევნებისათვის N23 მაჟორიტარულ ოლქში შემავალი N23.59.125 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის თამარ ბუხაიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –9

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს „საარჩევნო კოდექსი“ 21-მუხლის „ო“ პუნქტის, 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-47 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 109-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო წინადადების საფუძველზე N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. შეუწყდეს, N23 მაჟორიტარულ ოლქში შემავალი N23.59.125 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის თამარ ბუხაიძის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილება ვადამდე 2020 წლის 15 ნოემბრიდან, პირადი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N138.) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულება:

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის არჩევნებისათვის N23 მაჟორიტარულ ოლქში შემავალი N 23.59.125; N23.59.127 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი ხელახალი კონკურსის გამოცხადების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –9

წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლის „ო“- ქვეპუნქტის, 76¹-ემუხლის მე-9 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 23 ივლისის N16/2020 დადგენილებისა და ცესკოს 2020 წლის 10 ივლისის N52/2020 განკარგულების საფუძველზე, N59 ქუთაისის საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. გამოცხადდეს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის II ტურის არჩევნებისათვის N23 მაჟორიტარულ ოლქში შემავალ N23.59.125, N23.59.127 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი ხელახალი კონკურსი (დანართის შესაბამისად).

მუხლი 2. საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება 2020 წლის 16 ნოემბერს 10:00 საათიდან -18:00 საათამდე, კონკურსანტმა საკონკურსო დოკუმენტაცია (პირადობის მოწმობის ასლი) N59 ქუთაისის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N31 (საკონკურსო განაცხადი შეივსება ადგილზე), საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება აგრეთვე ელექტრონულ მისამართზე **59_kutaisi@cec.gov.ge**

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მის.თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N138.) მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

განკარგულება N329/2020 დანართი:


უბნის N	ვაკანტური ადგილების რაოდენობა
N23.59.125	1 (ერთი)
N23.59.127	2 (ორი)

სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარის, მ.შ.

კომისიის მდივნი:











საარჩევნო ადმინისტრაცია
თბილისის მუნიციპალიტეტის
N329
2023.05.15

გელა თუთბერიძე

ლარინა ლალიაშვილი

№59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა
 ქუთაისი 16 ოქტომბერი 2020 წ.

№	კომისიის წევრი	ხელმოწერა
1	გელა თუთბერიძე	
2	ლარინა ლალიაშვილი	
3	იზა ფერაძე	
4	თამარი ხმელიძე	
5	მაკა გაჩეჩილაძე	
6	ლილე ხურციძე	
7	გაგა დევიძე	
8	ია რაზმაძე	
9	კაროლინა ოსიპოვა	
10	პაატა ლაჭავა	
11	გიორგი ჩირვაძე	